# დოლარი ხელოვნურად გაამყარეს

ჟურნალი „სარკე“ — 12-18 ნოემბერი, № 46, 2008

ეკონომიკურად და ფინანსურად კარგ დღეში რომ არ ვართ და ცხოვრება დღითიდღე ძვირდება, ამაზე ხელისუფლების გარდა, ამ ქვეყანაში არავინ დავობს, მაგრამ ის, რაც 8 ნოემბერს მოხდა, რისხვასავით დაგვატყდა თავს. საქართველოში ლარის კურსმა ერთბაშად კატასტროფული ვარდნა დაიწყო. 10 ნოემბრისთვის, ოფიციალური კურსით, 1 ევრო 2 ლარამდე ავიდა, ერთი ამერიკული დოლარი კი 1,65 ლარი გახდა. მოსახლეობაში გაჩნდა საფუძვლიანი შეშფოთება, რომ ლარის ვარდნა შეუქცევადად გაგრძელდება და ღმერთმა უწყის, სადამდე მივა.

ეროვნულ ბანკს კარგა ხნის დაჭერილი ეროვნული ვალუტის სადავეები ამჯერად გაუშვა ხელიდან. ხელისუფლებამ გვარწმუნა, საქართველოში დოლარის კურსის გამყარება მსოფლიოში ამ ვალუტის კურსის გამყარებასთანაა დაკავშირებულიო, ეკონომიკაზე უარყოფითად არ იმოქმედებსო, ეროვნულ ბანკს აქვს საიმისო რეზერვი, რომ ეს პრობლემა მოაგვაროსო და ასე ბევრი რომ არ გაგრძელდოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო, თუმცა იმპორტირებულ საქონელზე ფასები უკვე გაიზარდა და თუ ასე გაგრძელდა, ადგილობრივ პროდუქციაზეც აუცილებლად აისახება.

10 ნოემბერს ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურ ბრიფინგზე ოფიციალურად გაკეთებული განცხადებით, ლარის კურსის „კორექტირება ეკონომიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი“, რისთვისაც შეირჩა ოპტიმალური დრო, კურსმა მიაღწია წონასწორობის წერტილს და დამატებით კორექტირებას არ საჭიროებს.

ქართველი ექსპერტები თვლიან, რომ დღევანდელი მძიმე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გარდა, ჩვენი ხელისუფლების უთავობის ბრალია. სიტუა-

ცია გამოსწორებადია, მაგრამ ამისთვის გონივრულად მოქცევაა საჭირო. არსებულ სიტუაციაში გარკვევა „სარკე“ ეკონომიკურ ექსპერტს, პროფესორ ლადო პაპავას სთხოვა.

**— ბატონო ლადო, რამ გამოიწვია მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რომელიც ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური უბედურების სათავედ იქცა?**

— ამ კრიზისს საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაუყარა და იპოთეკურ ბაზარზე გარკვეული შეცდომების დაშვებით იყო გამოწვეული. როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმავლობა იყო, ადამიანებს შეეძლოთ, ადვილად მიეღოთ იპოთეკური სესხი და ხშირად ფინანსური კომპანიები დიდად არც ამოწმებდნენ, რამდენად სტაბილური იყო ის შემოსავლები, რაც სესხის ამღებს ჰქონდა. როცა ამერიკა აქტიურად ჩაება ანტიტერორისტულ კამპანიაში, სამშვიდობო პროცესებში და ამის გამო საკმაოდ გაზარდა ხარჯები სამხედრო-სამრეწველო სექტორში, ამან ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის დაბალანსება გამოიწვია. შედეგად, სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი დარჩა უმუშევარი, რომლებიც აღარ იყვნენ გადახდისუნარიანები, იპოთეკურ სესხებს ვეღარ აბრუნებდნენ და ფინანსურ კომპანიებს გარანტიაში უძრავი ქონება რჩებოდათ. კრიზისის პირობებში ამ უძრავი ქონების გაყიდვა შეუძლებელი იყო იმ ფასად, რა ფასიც ბანკებისთვის იყო მისაღები და მათ შეექმნათ ფინანსური სირთულეები. იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსური კომპანიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული, ის, რაც დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიედო ევროპას, აზიას და ასე გადაიქცა გლობალურ ფინანსურ კრიზისად.

**— საქართველოში არსებული პრობლემებიც ამასთანაა დაკავშირებული?**

— პრობლემების ნაწილი ამასთანაა დაკავშირებული, ნაწილი — რუსეთის სამხედრო აგრესიასთან და ნაწილი — საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებთან.

**— რომელ შეცდომებს გულისხმობთ?**

— პირველ ყოვლისა, იმას, რომ ჯერ კიდევ გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის ინიცი-ატივით საქართველოს ეროვნული ბანკის კანონში ცვლილებები შეიტანა, რამაც გამოიწვია ამ ინ-სტიტუტის დასუსტება, დაკნინება და მისი დაქვემდებარება მთავრობისადმი. ეს ორგანო საკმაოდ სუსტ ერთეულად იქცა. თავისთავად, ეს შეცდომა იყო და ამ შეცდომამ თავი იჩინა დღეს, როცა ქვეყნის წინაშე დგას პრობლემა — გაუმკლავდეს გლობალურ ფინანსურ კრიზისს და დოლარის რეალური კურსის შედეგად მიყენებული ზარალი.

არის სხვა შეცდომებიც. ეს არის მთავრობის ხარჯვითი პოლიტიკა, რომელიც წმინდად ორი-ენტირებული იყო ისეთ სფეროებზე რომლებიც სახელმწიფოს ფუნქცია არაა. ვერ ჩაითვლება წარმატებულ პროექტად ე.წ. დასაქმების ან იაფი სესხის პროექტი. ინფლაციას უწყობდა ხელს სხვადასხვა დროის სხვადასხვა ტიპის ვაუჩერების გამოშვება. სახელმწიფოს ინტერვენცია ბიზნესში, რაც პერიოდულად ხდებოდა არჩევნების დროს და არჩევნების გარეშეც, ბიზნესგარემოს აფერხებს.

**— რამდენად გამოსწორებადია საქართველოში დღეს არსებული სი-ტუაცია?**

— მისი გამოსწორება შესაძლებელია. საქართველომ მიიღო საკმაოდ სერიოზული მხარდა-ჭერა დასავლეთისგან, რაც გამოიხატება არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ფინანსური ვექტო-რითაც. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოყო 750 მლნ დოლარი მაკროეკონომიკური სტა-ბილიზაციისთვის, ხოლო დონორმა სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დახმარე-ბის და კრედიტის სახით, ჯამში, გამოყვეს 4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც საქართველოს ეკო-ნომიკაში უნდა მოვიდეს უახლოესი ოცდაექვსი თვის განმავლობაში. ეს საკმაოდ სერიოზული რე-სურსია მთავრობის ხელში, ამიტომ კრიზისული ვითარებიდან გამოსვლა შესაძლებელია, თუ მო-რიგ შეცდომებს არ დავუშვებთ.

**— ყოფილმა პრემიერმა, ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, პირველ რიგ-ში, ამ ფულის გარკვეული ნაწილი მშენებლობის სექტორში უნდა ჩაიდოს, თორემ უარეს კრიზისში აღმოვჩნდებითო.**

— მადლით, რა, ნოღაიდელის ნათქვამზე კომენტარს ნუ გამაკეთებინებ.

**— როგორ ახსნით ამ დღეებში ლარის გაუფასურებას დოლართან და ევროსთან მიმართებაში?**

— რამდენიმე მიზეზი არსებობს. დასუსტებულმა ეროვნულმა ბანკმა თავი ვერ მოაბა, სწორად გაეთვალა შექმნილი ვითარება. იმის ნაცვლად, რომ ლარის ექსპორტიორი დოლარიზაცია მოექციას, დიდი ხნის განმავლობაში კურსის შენარჩუნებას ცდილობდა და ამაზე ეროვნული ბანკის საკმაოდ დიდი რეზერვი დაიხარჯა. ამას დაემატა ის, რაც მოხდა 7 ნოემბერს, როცა ბანკთაშორის ბირჟაზე ვაჭრობა ხელოვნურად შეწყდა.

**— რატომ?**

— არ ვიცი, რატომ და ეს უფრო სამართალდამცავი ორგანოების გამოსაძიებელია. ამან შექმნა პანიკა საბანკო სისტემაში და კურსი დავარდა.

**— ამით სარგებელს ხომ არ ნახულობს ვინმე?**

— რა თქმა უნდა, უკვე ნახა.

**— ვინაა ეს „ვინმე?“**

— ვინც ეს ყველაფერი გათვალა და ვინც ბანკთაშორის ვაჭრობის შეჩერებაში მონაწილეობდა. ეს შეგნებულადაა გაკეთებული.

**— ეროვნულ ბანკს გულისხმობთ?**

— არ ვიცი, პიროვნულად ვინაა, რომ ხელი დავადო. ამისთვის არსებობენ კომპეტენტური ორგანოები და მათ შეისწავლონ.

**— დოლარსა და ევროს შორის დღეს რომელი უფრო სანდო ვალუტაა?**

— დოლარის გამყარების პროცესი ევროსთან მიმართებაშიც აღინიშნება და ეს გამოწვეულია იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უფრო ოპერატიულად და გონივრულად იმოქმედა გლობალური ფინანსური კრიზისის დასაძლევად, ვიდრე ევროკავშირმა. ამერიკის

შეერთებულმა შტატებმა უკვე დაამტკიცა 700 მილიარდი დოლარის დახმარება ფინანსური ბაზრებისათვის, როცა ევროკავშირის ფინანსთა მინისტრებმა ვერაფერზე მოილაპარაკეს, გარდა იმისა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება, ყველა ქვეყანამ თავისი ძალებით დაძლიოს არსებული ფინანსური პრობლემები. ეს შეცდომაა. საჭირო იყო ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევა. ამის გამო დაიწყო დოლარის ევროსთან მიმართებაში გამყარება.

**— როგორი იქნება მომავალში ლარის კურსი დოლართან და ევროსთან მიმართებაში?**

— ლარის გაუფასურების პროცესი დაწყებულია. ამას ყველა ხედავს და თავიდან ვერ ავიცილებთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ეს თანდათანობით მოხდეს და არა — ნახტომისებურად.

**— გამოდის, რომ ლარის ვარდნას კიდევ უნდა ველოდოთ?**

— ამ ეტაპზე გაუფასურების პროცესი შეუქცევადია.

**— როგორ ფიქრობთ, რა მოუვა უძრავ ქონებაზე, ბინებზე ფასებს?**

— მოდით, ნუღარ ვიმარჩიელებთ. უძრავ ქონებაზე ფასები უკვე იკლებს. ეს მოსალოდნელიც იყო. ჯერ ერთი, სამშენებლო ბიზნესში ხშირად იყო ფინანსური პირამიდები, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა ამოწურულიყო და ასეც მოხდა. ამას ემატება ფინანსური კრიზისის კომპონენტი. ამის გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ უძრავ ქონებაზე ფასები ხშირად არაბუნებრივად მაღალი იყო, ვიდრე ეს ქართული ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას შეესაბამებოდა. ამიტომ ფასები იკლებს არა იმიტომ, რომ კრიზისული მდგომარეობაა, არამედ სწორედ კრიზისული მდგომარეობის გამო უახლოვდება იმ მაჩვენებელს, რაც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო.

ნინო მეტრეველი